პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 221 (13913) | ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ქართველ მეაბრეშუმეთა დარმატება

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაუჩაღეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, მნიშვნელოვანი წარმატება მოიკოვეს. 14 სექტემბრისათვის მათ შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს ჩააბარეს 4.105 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული, გეგმით გათვალისწინებული 4.100 ტონის ნაცვლად.

შესრულებულია აბრეთვე ხარისხოვანი პარკის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 3.321 ტონის ნაცვლად დამზადებულია 3.335 ტონა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

(საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოებისათვის გაგზავნილ თავიანთ წერილებში აყენებენ დიდი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებს, შეაქვთ წინადადებანი სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების მუშაობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. განცხადებებსა და საჩივრებში აღნიშნულია აგრეთვე ნაკლოვანებანი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, მოყვანილია საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, კანონთა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დარღვევის ფაქტები.

მშრომელთა წერილები წარმოადგენს ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებისა და გაფართოების, სახელმწიფო საქმეებში მოსახლეობის მონაწილეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმას, საზოგადოებრივი აზრის გამოხატულების საშუალებას, ქვეყნის ცხოვრების შესახებ ინფორმაციის წყაროს. გამოდის რა აქედან, პარტია განუხრელად ახორციელებს მშრომელთა წერილებზე მუშაობაში ლენინური პრინციპების ზუსტად დაცვის კურსს. უკანასკნელ წლებში პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებმა გარკვეული დადებითი მუშაობა გასწიეს წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში. მეტ წილ ამ წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს უყურადღებით და დროულად განიხილავენ, გაუმჯობესდა მოქალაქეთა პირადი მიღება.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ წამოაყენა ხალხის მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის განვითარების, მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ყურადღების გაძლიერების დარგში. ბევრი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანო ანალიზს არ უკეთებს წერილების არსსა და ხასიათს, არ იღებს ქმედითს ზომებს იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოსახლეობის საჩივრებს იწვევენ, სუსტად ზრუნავს მნიშვნელოვან წინადადებათა დროულად განხილვისათვის.

თხოვნებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება იწვევს წერილების ავტორთა უკმაყოფილებას და აიძულებს მათ მიმართონ ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება ადგილებზე წყდებოდეს და უნდა წყდებოდეს კიდეც.

წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა განხილვაში ყოველთვის როდი იღებენ უშუალო მონაწილეობას საწარმოთა, დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები; ზოგიერთ ორგანიზაციაში ყოველდღიურ კონტროლს არ უწევენ წერილებში დაყენებული საკითხების გადაჭრის ვადების დაცვასა და სისწორეს. ბევრი განმცხადებელი დიდხანს ელის პასუხს და მხოლოდ არაერთგზის შეხსენების შემდეგ იღებს ფორმალურ-ბიუროკრატიულ პასუხს. არის შემთხვევები, როცა საჩივრები განსახილველად ეგზავნება იმ თანამდებობის პირებს, რომელთა მოქმედებაზეც ჩივიან განმცხადებლები. საჩივრების შემოწმების და მათი განხილვისადმი კონტროლის საქმეში საკმაოდ არ იზიდავენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ აქტივს. ცალკეული სამინისტროების, უწყებების, სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში მშრომელთა წერილებზე მუშაობას ჯერ კიდევ არ დაუკავებია ჯეროვანი ადგილი.

ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში როდი იცავენ მომსელელთა მიღების გარკვეულ წესს, დადგენილი არ არის მიღების დღეები და საათები, მოწყობილი არ არის მიღება არასამუშაო დროს. ხშირად მშრომელებს ისეთი მუშაკები იღებენ, რომლებსაც არა აქვთ საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო უფლებანი. მომხელელებს არაიშვიათად აძლევენ დაპირებებს, რომლებსაც არ ასრულებენ.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ბევრად აიხსნება იმით, რომ არ არის ჯეროვანი პარტიული კონტროლი საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა გადაჭრისადმი. ბევრი პარტიული კომიტეტი იშვიათად ისმენს ანგარიშებსა და ცნობებს ამ საკითხზე, ყოველთვის სისტიკად როდი მოითხოვს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისაგან განუხრელად შესასრულო პარტიის მითითებანი მშრომელთა წერილების უყურადღებით და ობიექტურად განხილვის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს წინადადება მიეცათ გაუმჯობესონ ეს მუშაობა, უზრუნველყონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში ლენინური პრინციპების განუხრელად დაცვა. საჭიროა წერილებზე მუშაობა მიიჩნდეთ თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის მუშაობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა მოქმედებაზეც ჩივიან განმცხადებლები. საჩივრების შემოწმების და მათი განხილვისადმი კონტროლის საქმეში საკმაოდ არ იზიდავენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ აქტივს. ცალკეული სამინისტროების, უწყებების, სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში მშრომელთა წერილებზე მუშაობას ჯერ კიდევ არ დაუკავებია ჯეროვანი ადგილი.

ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში როდი იცავენ მომსელელთა მიღების გარკვეულ წესს, დადგენილი არ არის მიღების დღეები და საათები, მოწყობილი არ არის მიღება არასამუშაო დროს. ხშირად მშრომელებს ისეთი მუშაკები იღებენ, რომლებსაც არა აქვთ საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო უფლებანი. მომხელელებს არაიშვიათად აძლევენ დაპირებებს, რომლებსაც არ ასრულებენ.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ბევრად აიხსნება იმით, რომ არ არის ჯეროვანი პარტიული კონტროლი საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა გადაჭრისადმი. ბევრი პარტიული კომიტეტი იშვიათად ისმენს ანგარიშებსა და ცნობებს ამ საკითხზე, ყოველთვის სისტიკად როდი მოითხოვს საწარმოთა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მშრომელთა კრებებზე პერიოდულად უნდა ანგარიშნენ ანგარიშს წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა განხილვის დარგში მუშაობის მდგომარეობის შესახებ. პრაქტიკაში უნდა შემოიღონ მუშაკების ადგილებზე გაგზავნა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების შესამოწმებლად და მათ გამო ზომების მისაღებად. უფრო სრულად გამოიყენონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოებიდან მუშაობის გასაუმჯობესებლად მშრომელთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გამოთქმულია წერილებში, პირადი მიღებისას, პრესაში, აგრეთვე საჩივრების წიგნებში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმეორებითი განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, გულდასმით გამოარკვონ მათი შემოსვლის მიზეზები.

მშრომელთა წერილები განხილულ უნდა იქნას როგორც წესი არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა ორგანიზაციაში, დაწესებულებაში მიღების დღიდან, რომლებმაც უნდა გამოიტანონ საბოლოო გადაწყვეტილება წერილებში დაყენებულ საკითხებზე. იმ შემთხვევებში, როცა წინადადების, თხოვნის ან საჩივრის განხილვა უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს, წერილის ავტორს ეს დროზე უნდა აუწყონ.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ზუსტად უნდა იცავდნენ მოსახლეობის მიღების დაწესებულ დღეებსა და საათებს.

შესაბამის ორგანიზაციებს დაევალათ მიიღონ ზომები შრომის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის, იმ მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც წარმოშობენ მშრომელთა საჩივრებს შრომის და სხვა საკითხებზე; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერების, საბჭოთა კანონების ფართოდ განმარტების უზრუნველყოფისათვის.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ეურნალების სარედაქციო კოლეგიები მოვალენი არიან სისტემატურად აქვეყნებდნენ მკითხველთა წერილებს, გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საჩივრებსა და სიგნალებზე, მათში დასმული საკითხების შემოწმებისა და განხილვის კონკრეტული შედეგების ჩვენებით, აშუქებდნენ წერილებზე მუშაობის დადებით გამოცდილებას, აუმჯობესებდნენ განცხადებათა განხილვას რედაქციებში. ამასთან ერთად საჭიროა ამხილებდნენ და აკრიტიკებდნენ იმ პირებს, რომლებიც წერილებში დაუშვებენ ცილისმწამებლურ მონაჭორებს.

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაევალათ დროულად ახორციელებდნენ ღონისძიებებს პრესის გამოსვლების გამო და აუწყებდნენ ამაზე გაზეთებისა და ეურნალების რედაქციებს.

არის გეგმა, იქნება ვალდებულება!

რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა საიუბილეო წელს დიდი გამარჯვება მოიპოვეს — პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 4.100 ტონისა დამზადდა 4.105 ტონა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით. ასევე შესრულებულია ხარისხოვანი პარკის დამზადების დავალებაც, ნაცვლად 3.321 ტონისა დამზადებულია 3.335 ტონა.

რესპუბლიკის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მეაბრეშუმეებმა და მეაბრეშუმეობის სისტემის მუშაკებმა წელს განსაკუთრებული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ დაეძლიათ აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის არახელსაყრელი ამინდის პირობები და უზრუნველყოთ სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულება.

აბრეშუმის პარკის წლიური გეგმის შესრულების საქმეში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს, პარკის დამზადების გეგმა გადაჭარბებით მხოლოდ ერთი გაზაფხულის გამოკვებით შეასრულეს: მახარაძის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, წალენჯიხის ჩხოროწყუს, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გულრიფშის, მცხეთის, ქარელის რაიონებმე, აჭარის ასს რესპუბლიკამ და ქალაქმა ტყიბულმა.

ლაგოდეხის რაიონმა გაზაფხულის გამოკვებით წლიური გეგმა 126 პროცენტით შეასრულა და ვალდებულებათ ნაკისრი 18 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 44 ტონა პარკი, ხოლო მახარაძის რაიონმა გეგმის გადამეტებით 39 ტონა პარკი დაამზადა და წლიური გეგმა 115 პროცენტით შეასრულა.

მეორე გამოკვების ჩათვლით აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, გორის და სხვა რაიონებმა.

ჩვენი რესპუბლიკა განთქმულია მეაბრეშუმე ნოვატორებით, რომელთა სახელები დიდი ხანია ცნობილი გახდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მერგოლურის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოსანა ივანაზაშვილის, ლანჩხუთელი სოციალისტური შრომის გმირების, ლოლა კომახიძის, მარო ღლონტის, სანა ჯორბენაძის, მახარაძელი ნადია ბერძენიშვილის, წულეკიძელ ლენინის ორდენოსან ნინო ბარამაძის ნოვატორულ მეთოდებზე მრავალი ათასი მოწინავე მეაბრეშუმე აღიზარდა.

აღსანიშნავია მახარაძის რაიონის სოფელ ზვანის მეაბრეშუმე მერგოლურის ნაზი კოიძის შრომითი წარმატება. წელს მან 450 კილოგრამის ნაცვლად 918 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, ხოლო სილაურის კოლმეურნეობის „ეთერ ლომაძის რგოლმა ჩააბარა 811 კილოგრამი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 360 კილოგრამისა. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს" მეაბრეშუმე-მერგოლურმა მანუა მანჯგალაძემ ჩააბარა 402 კილოგრამი პარკი, გეგმა კი 245 კილოგრამს ითვალისწინებდა.

მოწინავენი სხვებიც არიან: ვანის რაიონის ბოსლიერის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ა. გვენეტაძე, წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის მეაბრეშუმე ნ. ადამია, ყვარლის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ე. ელიზბარაშვილი, წყალტუბოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ე. კოსტავა, ზესტაფონის რაიონის ფრუხზეს სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ე. ფერაძე, ზუგდიდის რაიონის კახათის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე-მერგოლორი ხ. კედია და სხვები.

აბრეშუმის პარკის მიღება-გადამუშავებას წელს მეაბრეშუმეობის სამმართველოს მთელი სისტემა მომზადებული შეხვდა. თავის დროზე აშენდა ახალი ტიპის ფარდულები, კაპიტალურად შეკეთდა არსებული ფარდულები და დანადგარები, რის შედეგადაც პარკის პირველადი გადამუშავება ტექნოლოგიური რეჟიმის სრული დაცვით განხორციელდა.

ზუგდიდის რაიონის მეაბრეშუმეებმა საიუბილეო წელს დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მარტო კახათის კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა რგოლმა, რომელსაც სვეტლანა კედია ხელმძღვანელობს, მიმღებ პუნქტში ნაცვლად 200 კილოგრამისა 540 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი მიიტანა. სურათზე: მიმღებ პუნქტში კახათელი ახალგაზრდების მიერ დამზადებული აბრეშუმის პარკის ხარისხს ამოწმებენ. მარჯვნიდან: ოდიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. შეროზია, კახათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. გეგუჩია, კახათის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი ს. კედია; კახათის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი კ. სვირავა, ზუგდიდის სათაო პარკსაშრობის დირექტორი შ. გაბედავა, ჩხორების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. ჭითაძავა და ზუგდიდის სათაო პარკსაშრობის მდივანი აგრონომი ნ. კუტალია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

შრომითი ნოგათეგი

საქართველოს „კპ ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, რომ ყვარლელმა მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტური შეჯიბრებაში, სიტყვა საქმედ აქციეს. 1 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 4.054 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 3.850 ცენტნერისა, 11.135 ცენტნერი რძე ნაცვლად 9.460 ცენტნერისა.

სარხეარის რაიონის მშრომელებმა, — აცნობა „კომუნისტს" საქართველოს „კპ სარხეარის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ნოზაძემ, — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შეასრულეს 114,2 პროცენტით, რძისა 115,2 პროცენტით, კვერცხისა — 107,1 პროცენტით. დამზადდა 1.200 ტონა ხილი ნაცვლად 600 ტონისა.

საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

19 სექტემბერს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის გამო ახალგაზრდობის დასვენების მოწყობაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებისა და კომკავშირის კომიტეტების როლის გაძლიერების შესახებ". მოხსენება გააკეთა საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა რ. მეტრიველმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. სანაკოევი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ალავიძე, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ბაბარაკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი შ. ძაბაჩანია, თბილისის საკონდიტრო კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. პაპიძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. იმედაძე, მწერალი, საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი მ. ელიოზიშვილი, საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ი. ღარიბაშვილი, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორი ა. ბუშპაძიძე, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მერვე მიკრორაიონის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბურშუიძე, რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სასლის დირექტორი ა. რევაზიშვილი.

პლენუმზე დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა რ. მეტრიველმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დააკანონა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს უაღრესად აქტიური საქმიანობა გააჩაღონ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების მთელი კომპლექსის გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია შრომისა და დასვენების ახალ პირობებზე გადასვლასთან.

პლენუმის მონაწილეებს დაურიგდათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის დადგენილება „რესპუბლიკის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებაში". პლენუმმა ეს ინფორმაცია ცნობად მიიღო.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

პარტიულ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნად აირჩია ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ე. ჩხარტიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია რ. მეტრიველი და გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ბ. ბარამიძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე მ. გოგიჩაიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვასილიევი. (საქდესი).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის რესპუბლიკის ელჩი

18 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარესი სანჩესი სამშობლოში მის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ლ. ი. ბრეჟნევსა და კარლოს ოლივარეს სანჩესს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი მოსკოვში ჩამოვიდა

მოსკოვი, 19 სექტემბერი. (საქდესი). საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი.

ვნუკოვოს აეროდრომზე თურქეთის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სხვა ოფიციალური პირნი.

ოქტომბერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ბაკო, 19 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა".

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისასალმებელი წერილი კონფერენციის მონაწილეებისადმი.

მოხსენება — ოქტომბრის გავლენა ეროვნული განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლაზე წაიკითხა აკადემიკოსმა ე. მ. ჟუკოვმა.

კონფერენცია ოთხ დღეს გაგრძელდება.

ბაქოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალე მივესალმებით საზღვარგარეთელ და საბჭოთა მეცნიერებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც შეიკრიბნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მისი გავლენისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

კონფერენცია შეიკრიბა იმ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების, ყოველგვარი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ადამიანთა ხსნის ეპოქას.

კონფერენციის მოწვევა ბაკოში, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქში, სადაც დიდი ლენინის ინიციატივით მიმდინარეობდა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიული ყრილობა, ხაზს უსვამს საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მუშათა კლასის ბრძოლასთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღრმა კავშირს.

რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ უძლიერესი ლაზვარი ჩასცა იმპერიალისტური ჯოლონიური ბატონობის მთელ სისტემას, გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების მძლავრი სტიმული, დასაბამი მისცა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ გააღვიძა და დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე გამოიყვანა წარსულში ჩაგრული რუსეთის ხალხები, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ფაქტიური თანასწორობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება ცხადყოფს, როგორ შეიძლება მოკლე ისტორიულ ვადაში მოისპოს ჩამორჩენილობა, სიღატაკე, უწიგნურობა, მიღწეულ იქნას შესანიშნავი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, ყველა ხალხის — დიდი და პატარა ხალხების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ეს გამოცდილება პრაქტიკულად ცხადყოფს სოციალიზმის იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების გამარჯვებას.

სახბჭოთა სახელმწიფო ასრულებს დიდი ლენინის ანდერძს და განუხრელად ახორციელებს სხვა ქვეყნების ხალხებთან ძმური სოლიდარობისა და მეგობრობის პოლიტიკას, მხარს უჭერს მათს ბრძოლას იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ. იგი პოლიტიკურ მხარდაჭერას და მატერიალურ დახმარებას უწევს ეროვნული განთავისუფლების ძალებს თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ამის დადასტურებაა საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი, სულ უფრო მზარდი დახმარება გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი, რომელიც იბრძვის ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მხარდაჭერა არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისადმი ისრაელის აგრესიული მოქმედებისა და მისი იმპერიალისტური სულისჩამდგმელების წინააღმდეგ.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები თავიანთი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, იყო და არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი. იგი ყოველგვარ დანაშაულს სწადდის, ცდილობს შეაფერხოს ეროვნული განთავისუფლება და სოციალური პროგრესი. მაგრამ იმპერიალიზმის ეს ანტახალხური პოლიტიკა განწირულია ჩასაფუშავად. წინათ დამონებული ხალხების დიდმა უმრავლესობამ შეუპოვარი ბრძოლით დაამხო კოლონიური რეჟიმები, დაადგა პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების გზას და ქმნის თავისი ქვეყნების ნამდვილი აღმავლობის საძირკველს.

ამქვეყნად არ არის ძალა, რომელიც შეაჩერებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა წინსვლას ნათელი მომავლისაკენ. ამის საწინდარია მსოფლიო სოციალიზმის ძალებთან და საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლასთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულ უფრო მზარდი ერთიანობა.

წარმატებებს ვუსურვებთ მუშაობაში ბაკოს კონფერენციის მონაწილეებს. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია თავის წვლილს შეიტანს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის საქმეში.

ლ. ბრეჟნევი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი

ნ. პოდგორნი,
სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე, კომკავშირის აფხაზეთის საოლ

ხარისხოვანი მასალა — მუშენებლებს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შესახვედრად

ცნობილია, რაოდენ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ პარტია და საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა თანხების მომპირნეობით და უალრესი ეფექტით გამოყენებას. ამ საქმეში შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტმა „ამიერკავკასიის მეტალურგმშენმა“ (ტრესტის მმართველი ზ. ჯაფარიძე, მთავარი ინჟინერი ნ. ლობოც�i). ტრესტის ხელმძღვანელთა ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოიყალიბეს დამპროექტებელთა ჯგუფი, რომელსაც დაეკისრა ასაშენებლად ტრესტისთვის მინდობილი ზოგი სამშენებლო ობიექტის პროექტის გადათვალიერება და, თუ ეკონომიის მიღწევისათვის საჭირო იქნებოდა, გადაკეთებაც. ამ ჯგუფმა ხელახლა გადაამუშავა ზოგი ნაგებობა იმთის დიდსა და წამყვან სამშენებლო ობიექტზე, როგორიც არის ხრამი-რუხთავის წყალსაცავის მშენებლობა, რამაც საშუალება მოგვცა ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა 18 თვით შეგვემცირებინა, ხოლო კაპიტალდაბანდების თანხა — 350 ათასი მანეთით.

მუკუზნის ღვინის ქარხნის მშენებელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა წინადადებით მიმართეს მეორე საერთო სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებს, რომ ნება დაერთოთ ქარხნის მთავარ კორპუსში დაროექტებული ბეტონის ღვინოსაცავი რეზერვუარები ნაცვლად მონოლითური ბეტონისა ბეტონისავე ასაწყობი ელემენტებით აღემართათ. ტრესტის ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას და, ვინაიდან მონოლითური ბეტონის შეცვლა არმირებული ბეტონის ელემენტებით ტექნიკურად დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მშენებლობა ამ რაციონალიზატორული წინადადების შესაბამისად განხორციელდა. ამის შედეგად საწარმოო კორპუსში 410 ღვინოსაცავი რეზერვუარის ნაცვლად მოთავსდა 448 რეზერვუარი, თითო 224 დეკალიტრის მოცულობისა, ე. ი. ქარხნის სიმძლავრე გაზრდილ იქნა 7.512 დეკალიტრით კაპიტალური დაბანდების გაუდიდებლად.

ასეთი მაგალითები რესპუბლიკის მოწინავე მშენებლობებზე მრავალია. მაგრამ სწორედ ორგანიზაციული მოუქნელობის გამო ვერ მოვახერხეთ ამ მოწინავე გამოცდილების საერთო გამოცდილებად გადაქცევა, გავრცელება და რეალიზაცია. ამაში პირველ რიგში ვცოდავთ ცალკე სამშენებლო ტრესტებისა და ობიექტების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები, რომლებიც მოწინავე გამოცდილების განზოგადებით სათანადო დაინტერესებას ოდიდ ვიჩენენ.

ყოველივე ეს მშენებლობათა ხელმძღვანელებს ორგანიზაციული მოუქნელი მუშაობის ერთი მხარეა. არის, რასაკვირველია, მათი გაუმართავი მუშაობის სხვა მხარეებიც, მაგრამ ამაზე არ შეეჩერდები, რადგან ეჭვი არ არის, მათ შესახებ უთუოდ იმსჯელებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმი, რომელიც დანიშნავს ჯეროვან ღონისძიებებს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. აქ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო სამშენებლო სამუშაოთა მაღალი ტემპით წარმართვის შემაფერხებელ რამდენიმე გარემოებაზე.

სამრეწველო, სანაბინათ და სამოქალაქო მშენებლობის ახეთი უმაგალითო ფართო მასშტაბით გაშლის ვითარებაში, როგორსაც ქართველი ხალხის არც ერთი გარდასული თაობა არ მოსწრებია, რესპუბლიკაში მაინც ჯერ კიდევ არა გვაქვს ხეირიანად მოწესრიგებული ხარისხოვანი ინერტული საშენი მასალების მოამბეები, ტრანსპორტირებისა და განაწილების საქმე. ახლა მშენებლები მოითხოვენ მხოლოდ მაღალი მარკების ბეტონისგან დამზადებულ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რადგან ეს აუცილებელია მაღალხარისხოვან, ხანგძლივ და ამბოლოუტურად საიმედო ნაგებობათა ასაგებად. სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივები კი იბრძვიან ცემენტის ეკონომიისათვის. მაგრამ თუ ინერტული მასალა (ქვიშა, ხრეში, ღორღი) კარგი ხარისხისა არ არის, საწარმოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მებეტონეებმა მეტი რაოდენობით უნდა გამოიყენონ ცემენტი. ამგამად რესპუბლიკის მთელ რიგ მშენებლობებზე შეფერხებებია იმის გამო, რომ ხარისხოვანი ინერტული მასალები არა აქვთ. ასეთი შეფერხებებია თბილისში, რუსთავში, ქუთაისში და სხვ.

საქართველოში ინერტული მასალების მოპოვებაზე ცალკეული მუშაობა ხაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მისგან დამოუკიდებლად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები. ბუნებრივია, რომ ყველა ცდილობს პირველ რიგში საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მაგრამ ამას რიდი ჰქვია საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა.

ვფიქრობ, უთუოდ საჭიროა ინერტულ მასალათა მეურნეობის მართვის ცენტრალიზაცია, ინერტული საშენი მასალების მოპოვების, ტრანსპორტირებისა და განაწილებისათვის პასუხისმგებლობის ამ საქმისათვის ხელმძღვანელების ერთი რომელიმე სამინისტროსათვის დაკისრება, ვთქვათ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის, ისევე როგორც მას მინდობილი აქვს მშენებლობათა მომარაგება მჭიდა მასალებით. ეს მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ იმიტომაც, რომ ზოგ მოკავშირე რესპუბლიკაში ასეთმა ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო.

შეორე ასეთივე მოუწესრიგებელი და მშენებლობის შემაფერხებელი საქმეა ჩვენს რესპუბლიკაში მოსაპირკეთებელი ქვის (ცარქვა, გრანიტი, ბازალტი, მარმარილო) წარმოება. მოსაპირკეთებელ ქვაზე მოთხოვნილება დიდია. რესპუბლიკაში არ არის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ახეთი სამშენებლო ობიექტი, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა მოსაპირკეთებელი ქვის მოუმარაგებლობით არ ფერხდებოდეს. ამავე დროს გვაქვს ნაირნაირი მოსაპირკეთებელი ქვის აუოაცხელი რესურსები. საჭიროა მხოლოდ ქვის დასამუშავებელი ძლავრი საწარმოების შექმნა, მათი აღჭურვა მოწინავე ტექნიკით, ამ დარგისათვისაც ერთი მზრუნველი პატრონის მიჩენა, ქვის დაკრის ახალი, ალმასური მეთოდის დანერგვა, და საქმეც წინ წავა.

ჩვენი რესპუბლიკა მოფენილია ხაუბილეო მშენებლობებით. ყოველი ხამშენებლო ობიექტის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ საამაყო წარმატებებით შეხვდეს საბჭოთა ხახელმწიფოს დიდ იუბილეს. მაგრამ მშენებელთა მასების ასეთ პატრიოტულ მიზნრაფებას საგრძნობლად ანელებს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ხაშენ მასალათა საწარმოო ბაზების სისუსტე. ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად შენდება რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციათა ქარხნები და პოლიგონები ქუთაისში, თელავში და სხვ. სამწუხაროდ მათი მშენებლობის ტემპი დიდად ჩამორჩება დროის მოთხოვნილებას, მაშასადამე აფერხებს მშენებლობის განვითარებასაც.

აუცილებლად საჭიროა რკინაბეტონის ქარხნებისა და პოლიგონების მშენებლობის დაჩქარება. ეს მშენებლობები განსაკუთრებული მნიშვნელობის, დაკვრით მშენებლობებად უნდა გამოცხადდეთ, ხოლო მათ კოლექტივებს დამხმარედ შეიყვანონ. მშენებლობისათვის ეს ფასდაუდებელი დახმარება იქნება.

კიდევ ერთი შენიშვნა: მშენებლობის პრაქტიკაში „მოდად“ შემოვიდა ბეტონის, მინის, ფერადი პლასტიკატისა და ალუმინის გამოყენება. სამშენებლო ტექნიკის განვითარების ახლანდელ ეტაპზე ამოცანად მარტოოდენ ის კი არ არის დასახული, რომ თანამედროვე ნაგებობა აკმაყოფილებდეს თავის უტილიტარულ დანიშნულებას, არამედ ამასთან ერთად ისიც, რომ ნაგებობა იყოს ესტეთიკურიც, მიმზიდველი, ანსამბლის დამამშვენებელი. ზემოდნიშნულ მასალებს ჩვენს რესპუბლიკაშიც ფართოდ ვიყენებთ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზოგიერთი მათგანი, ვთქვათ ალუმინის დეტალები, რომელთა საწარმოო ბაზა საქართველოში არა გვაქვს, სხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს. ეს მეტისმეტად ძვირად გვიჯდება. ამიტომ გადაუდებლად უნდა მოეწყოს რესპუბლიკაში ალუმინის სამშენებლო დეტალების საწარმო, რაც ხელს შეგვიწყობს მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში.

არის ბევრი სხვა მოსაგვარებლად მომწიფებული საკითხიც — ქსელური გრაფიკებით მუშაობის შემოღება, დისპეტჩერიზაციის დანერგვა და სხვ., რაზეც უთუოდ იმსჯელებს პლენუმი, მაგრამ კაპიტალური მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების წინსვლისათვის, ვფიქრობ, უმნიშვნელო არ იქნება იმ მტკივნეული საკითხების მოწესრიგებაც, რომლებსაც ამ წერილში შევეხეთ.

რ. ნინიძე,

ტრესტ „საქორგტექმშენის“ მმართველი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

ერთი სოფლის პირველი კომუჯრედი

ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲘᲗᲘ... სოფლის ბოლოს მშვიდად მოედინება ხანისწყლის, ყვირილასა და წყალწითელასაგან დამძიმებული რიონი.

ბარაქიანია რიონის ველი. მშრომელი კაცის მარჯვენას ბალღენსცხებითა და ბაღჩა-ბოსტნებით მოუქარგავს მისი მადლიანი მიწის ყოველი მტკაველი.

ბევრი სოფელია ამ ველზე. თვითეულს თავისი ისტორია აქვს. მაგრამ, თუ იმერეთში თავისი რევოლუციური წარსულით რომელიმეს შეუძლია იამაყოს, ეს უპირველეს ყოვლისა პატრიკეთია.

წყალტუბოს რაიონის პატრიკეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ კარგი, კეთილი და შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ არიან განსაკუთრებით საინტერესო ადამიანებიც. პარტიის ვეტერანები, რომლებსაც პატივს სცემს მთელი სოფელი.

1917 წლის მარტში აქ, პატრიკეთში, ჩამოყალიბდა მთელ იმერეთში პირველი სოფლის კომუჯრედი. მის ძირითად ბირთვს სწორედ ისინი შეადგენდნენ, რომლებსაც კატორღა და მეფის საყორბილეები ჰქონდათ გამოვლილი. მთელი სოფელი წმიდად ინახავს კომუჯრედის ერთ-ერთი ორგანიზატორის, თავისუფლებისათვის მეზნებარე მებრძოლის ვლადიმერ შენგელიას ნათელ ხსოვნას, რომელიც ჯერ კიდევ 1903 წელს შევიდა პარტიის რიგებში.

თავდაპირველად კომუჯრედი რვა კომუნისტს აერთიანებდა. ვლადიმერ შენგელიასთან ერთად ლენინური ვგვარდიის ეს მამაცი მებრძოლები იყვნენ ძმები სერაპონ და აკაკი ნამჩევაძენი, მამა-შვილი მაკსიმე და რაჟდენ კაკუშაძეები, თადეოზ ბუაძეები და ალექსანდრე ვაჩიბერაძე.

თუმცა კომუჯრედს ხალხის მოღალატე მენშევიკების ბატონობის წლებში არალეგალურ პირობებში უსდებოდა მუშაობა, იგი სულ უფრო პოპულარული გახდა გლეხობაში და უკვე ერთი წლის შემდეგ ერთიორად გაიზარდა — 16 კომუნისტს ითვლიდა.

კომუჯრედში მაშინ აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ძველი ბოლშევიკები, ამქამად თბილისში მცხოვრები პროფესორები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები სერგო ბერაძე და პლატონ შუშანია. ა. შუშანია იმ ხანად ექიმად მუშაობდა პატრიკეთის სამედიცინო პუნქტში.

1918 წლის ბოლოს არმიიდან სოფელში დაბრუნდა კომუნისტი დომენტი ვაჩიბერაძე. მან არ იცოდა შიში ბრძოლაში და ისიც კი მოახერხა, რომ მენშევიკების კომიტეტის სხდომას დასწრებოდა და იქიდან ძვირფასი საიდუმლო ცნობები მოეტანა კომუჯრედისათვის.

ცხოვრების მეტად საინტერესო გზა განვლო ამჟამად უკვე ოთხმოცდაათ წელს მიღწეულმა კომუნისტმა ალექსანდრე ვაჩიბერაძემ. იგი ჯერ კიდევ 1902 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის მანთაშევის ქარხნის მუშათა დიდ გაფიცვაში, რომელსაც ი. ბ. ლენინი ხელმძღვანელობდა და რომელიც მუშათა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

კომუჯრედი, უკვე მაშინ, ყველაზე შეგნებულ კლასობრძოლთან ერთად, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლუციურ ჯარისკაცებსაც აერთიანებდა.

პატრიკეთის კომუჯრედს მეიდრო, ყოველდღიური კავშირი ჰქონდა ქუთაისის ბოლშევიკურ კომიტეტთან. ამ კავშირს უშუალოდ ახორციელებდნენ რევოლუციონერი მებრძოლები, პატრიკეთელები ბარნაბ ადამაძე და დავით გუბელაძე. ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ სოფელში და არა მარტო პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ, არამედ არალეგალურ ლიტერატურასა და პროკლამაციებსაც ავრცელებდნენ გლეხობაში. მაგალითად, ბარნაბ ადამაძის ხელმძღვანელობით, რომელიც „სპარტაკის“ ქუთაისის ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, კომუჯრედის ჩამოყალიბებიდან ერთი წლის შემდეგ, 1918 წლის გაზაფხულზე, პატრიკეთში არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციაც შეიქმნა. კომუჯრედის წევრები შეიარაღებული იყვნენ და აქტიურად იბრძოდნენ მენშევიკური მთავრობის დასამხობად. ცხადია, თავის მხრივ მენშევიკების აგენტურაც ფხიზლობდა.

1920 წლის ივნისში კომუჯრედის მდივანი და შეიარაღებულთა შტაბის უფროსი აკაკი ნამჩევაძე, უკრედის ყველაზე აქტიური წევრები სერაპონ ნამჩევაძე, თადეოზ გუბელაძე, მაქსიმე კაკუშაძე, გიორგი სკანაძე და პლატონ შუშანია დაპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. პროკურატურის ნიშნად პატრიკეთელებმა, სხვა კომუნისტ პატიმრებთან ერთად შიმშილობა გამოაცხადეს და ციხის ფანჯრებიდან წითელი დროშები გამოაკიდეს.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ სოფლის კომუნისტებმა ახალი ძალით გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა.

და როცა კომუნისტურმა პარტიამ შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა საქართველოს ყველა მშრომელს, პატრიკეთელებმა პირველმა აისხეს იარაღი, განაიარაღეს და დაპატიმრეს ადგილობრივი მენშევიკური მთავრობა და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს უკრედი 56 კომუნისტს ითვლიდა. პარტიის ამ ვეტერანებისაგან ბევრი ახლაც ცოცხალია და ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ხალხის საკეთილდღეო შრომას.

კომუჯრედის პირველი მდივანი აკაკი ნამჩევაძე ახლა ქუთაისში ცხოვრობს. თუმცა პერსონალური პენსიონერია, კვლავ მხნედ გამოიყურება, უფროს ინსპექტორად მუშაობს „ქუთაისკვებეტრობაში“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისში ცხოვრობენ და მუშაობენ ძველი ბოლშევიკები პლატონ შუშანია, ერისტომ კოზიცარი, სერგო და დავით ბერაძეები.

პატრიკეთელთა სახელოვანი წარსული და აწმყო

ახლაც სოფელში ცხოვრობენ და კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ შრომობენ ბოლშევიკ-ლენინელების რაჟდენ კაკუშაძე, ბარნოლომე ბერაძე, ალექსანდრე ვაჩიბერაძე, გიორგი სვანაძე, მელქო გოდუაძე, ძმები ერისტომ და ვანო სინაურიძეები.

ეს უშიშარი მებრძოლები კანონიერად ამაყობენ თავიანთი დიადი რევოლუციური პატიესცემით.

გაზეთების „კომუნისტისა“ და „შუშა და გლეხის“ 1921 წლის ქრონიკები მოგვითხრობენ პატრიკეთის კომუჯრედის ხისხლსავსე ცხოვრებაზე, იმაზე თუ რა დიდებულად იდღესასწაულეს პირველად ლეგალურ პირობებში 1921 წლის 1 მაისი, თუ როგორ გაიზარდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების რიგები, და კიდევ იმაზე, რომ 1921 წლის 14 აგვისტოს, კვირადღეს, პატრიკეთელმა კომუნისტებმა და კომკავშირ-ელებმა წითელი საალიტიკო უმრეთი მოაწყვეს, თემში შემავალ ყველა სოფლისა და უბანში მატინგები გამართეს და ასე შეაგრძნეს სურსათი საბჭოთა რუსეთის, კერძოდ, ვოლგიისპირა რაიონების გვალვით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვანია პროლეტარული სოლიდარობის ეს ერთი შეხედვით პატარა ფაქტი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მოხდა მაშინ, როცა თვით ქართველ გლეხკაცს ცხოვრება უჭირდა და სეირიანად არ შეეძლო გამოკვება საკუთარი თავი და ოჯახი.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ 1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის დროს პატრიკეთელმა ბოლშევიკებმა მედგარი ბრძოლა გაუმართეს ბანდიტთა რაზმებს და მაგრად შეათხელეს მათი რიგები. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ კომუნისტები დომენტი ვაჩიბერაძე და კალისტრატე მაღლაფერიძე, ხოლო მძიმედ დაიჭრნენ სერგო ბგანცელაძე, ვანო სინაურიძე და იასონ კაპანაძე.

პატრიკეთელები პირველნი იყვნენ ძველის ნაშენაადგილზე ბრძოლაშიც და ახლის შენებაშიც.

სწორედ აქ, პატრიკეთში, 1928 წელს შეიქმნა იმერეთში პირველი კომუნა. თუმცა უკვე 1929 წელს სოფლში კოლმეურნეობაც ჩამოყალიბდა, კომუნამ მაინც 1934 წლამდე იარსება.

ახლა პატრიკეთის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ მდიდარი და მრავალდარგოვანი მეურნეობა. ეკალაფარა სიმინდი და ფორბლი, ბალჩეული და ბოსტნეული, ყურძენი და ხილი. დიდად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

პატრიკეთელები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ მათი ძმები, მამები და შვილები გმირულად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. 356 ვაჟკაცი დაბრუნებულა. სამშობლოს წინაშე მხედრულ ვალს ისდიდა სოფლის 150-ზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელი. იმათ შორის, ვინც საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდამშვენებული დაბრუნდა, არიან კომუნისტები — თადარიგის გენერალ-მაიორი პეტრე ჩხობაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეჟან ადამაძე, ფერმის გამგე გიორგი ნიკარაძე, აგრონომი ბაგრატ ყვავაძე, კოლმეურნეები გიორგი ვაჩიბერაძე, არჩილ ჯანელიძე და სხვები.

ომისშემდგომ წლებში კომუნისტების წინამძღოლობით სოფელი კიდევ უფრო მოღონიერდა. იმატა მოსავალმა და ფულადმა შემოსავალმა.

ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული და მოსფალტებული სოფლის მთავარი ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული სახლები საკურორტო კოტეჯებს მოგაგონებენ.

და ეს იმიტომ, რომ ფული ახლა პატრიკეთელებს გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე ოდესმე ჰქონიათ. ამ ფულს ძველებურად „შავი დღისათვის“ როდი ინახავენ. იშენებენ კაპიტალურ სახლებს, რომლებსაც მოდური ავეჯით რთავენ, იძენენ ავტომანქანებს, პიანინოებს, მაცივრებს, ტელევიზორებს. პიანინოები ისე გამრავლდა, რომ კარგახანია უკვე მომწიფდა ამ სოფელში მუსიკალური სკოლის გახსნის საკითხი.

სოფელში არის საშუალო და რვაწლიანი სკოლები, ორი კლუბი, სამი ბიბლიოთეკა, ორი საექმო პუნქტი, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი, მაღაზიები, სასადილოები...

ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც პატრიკეთელებმა ამ საიუბილეო წელს მიიღეს, სამეალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა, რომლის კარი პირველ სექტემბერს გაიღო. ასეთი სკოლა კი რომელიც გნებავთ ჭალაქს შეშურდება.

სინამდვილეში გადაეჯარა პატრიკეთის ვეტერანთა, პირველ კომუნართა ოცნებას. მაგრამ პატრიკეთელები ახლაც დიდ პატივს სცემენ კომუჯრედის პირველ მდივანსა და კომუნის თავმჯდომარეს აკაკი ნამჩევაძეს, სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს გიორგი სვანაძეს და ვანო სინაურიძეს, კოლმეურნეობის ომამდელ თავმჯდომარეებს ბართლომე ბერაძეს და ვალერიან ადამაძეს.

სოფლის რევოლუციური ტრადიციები დღეს ცოცხლობენ კომუნისტების ყოველდღიურ საქმეებში, კოლმეურნეებს თავდადებულ შრომაში.

პატრიკეთის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ახლა 165 კომუნისტია. თვითეული ცალკე და ყველა ერთად თავის ძალასა და ენერგიას მშობლიური სოფლის შემდგომ აყვავებასა და წინსვლას ახმარს. კომუნისტებმა ცოტა როდი იშრომეს იმისათვის, რომ შარშან კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 7.650 ცენტნერის ნაცვლად 10.486 ცენტნერი სიმინდი მიეღო, 15 ათასი ცენტნერის ნაცვლად — 17 ათასი ცენტნერი ბოსტნეული, ხოლო 648 ტონის ნაცვლად 892 ტონა ყურძენი მიეყიდა სახელმწიფოსათვის, გადაჭარბებით შეესრულებინა აგრეთვე პირუტყვის სულადობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის დავალებები.

ახლა, ამ საიუბილეო წელს, აღარავის აკმაყოფილებს მიღწეული დონე. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად პატრიკეთელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და თავიანთ სიტყვის საქმედ აქციენენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეჟან ადამაძე კმაყოფილებით ლაპარაკობს საიუბილეო შეჯიბრების პირველ წარმატებებზე, იმაზე, რომ რიონის ველზე, სადაც 130 ჰექტარი ხორბალი დათესეს, „უფხო-1“-ის სარეკორდო მოსავალი მიიღეს — ჰექტარზე 17 ცენტნერი მარცვალი, ნაცვლად 12 ცენტნერისა.

ეს მართლაც რიონის ველის რეკორდია.

და განა მარტო ეს! პატრიკეთელებმა წელს 78 ცენტნერი აბრეშუმის პარკი დაამზადეს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება, ჭირვეული ამინდების მიუხედავად დღემდე სახელმწიფოს მიჰყიდეს 300 ტონამდე ბოსტნეული.

ასეთია პატრიკეთელთა პირველი საიუბილეო ნობათი.

ასე ღირსეულ შეხვედრას უშზადებენ პატრიკეთელები დიდ ოქტომბერს, რომლისთვისაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ მამაცურად იბრძოდნენ მათი მამები. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრები, რომელთა პირველ რიგებში კომუნისტები არიან, საქმით ასოციაციენენ ლენინურ ანდერძს.

შ. ჯავახაძე,

„კომუნისტის“ სპ. კორ.

• • •

სურათზე: პატრიკეთელი კომუნისტების, პარტიის ვეტერანების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — გ. სვანაძე, ი. გუბელაძე, ბ. ბერაძე, ა. ვაჩიბერაძე, ე. სინაურიძე, რ. კაკუშაძე, კომუჯრედის პირველი მდივანი ა. ნამჩევაძე, ვეტერანი კომკავშირელი ვ. ადამაძე.

ფოტო ჯ. ფხაკაძისა.

გარდაბნელთა საიუბილეო ვახტი

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ რაიონი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს დედაქალაქისა და ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქ რუსთავის მოსახლეობის მემცენარეობისა და მეცხოველეობის ახალი პროდუქტებით უზრუნველყოფაში. ამ ქალაქების მწვანე რგოლად შემორტყმიან საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც დასპეციალდნენ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოებაში. თბილისისა და რუსთავის მაღაზიებში განუწყვეტელ ნაკადად მოდის მინდვრებისა და ფერმების ბარაქა.

გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა კარგად იმუშავეს საიუბილეო წელს. ამას ადასტურებს ცნობა, რომელიც გუშინ გარდაბნიდან მივიღეთ.

„გარდაბნის რაიონის ხოფლის მშრომელებმა, გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 24 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ბოსტნეულის პროდუქცია. ნაცვლად 23.780 ტონისა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი რუსთბოლოს მებოსტნეობა-მერძეოეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ბ. ისმაილოვი. პარტკომის მდივანი ო. ლაშხი), გარდაბნის მებიჯოთა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი მ. ჰასანოვი. პარტკომის მდივანი ა. ახმედოვი), გარდაბნის მერძეოეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი მ. ხიალოვი, პარტკომის მდივანი ხ. ყულიევი),

ახალი სამგორის მერძეოეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი შ. სიბაშვილი, პარტბიუროს მდივანი თ. ხეჩუმაშვილი) და სხვა საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.

რაიონის მებოსტნეებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ კიდევ 8 ათასი ტონა პროდუქცია“.

გარდაბნის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ღრმა და სერიოზულ მუშაობას ეწევა ახალი ბოსტნეულით, ხილით, ბაღჩეულით, მეცხოველეობის პროდუქტებით თბილისისა და რუსთავის მშრომელების შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, სოციალისტური შრომის გმირს ა. ბეჟაურს დაწვრილებით მოეთხრო ამ მუშაობის შესახებ.

რაიონი პირობითად დავყავით შვიდ ზონად, რათა ყოველდღიური, ოპერატიული კონტროლი დაგვწესებინა მოსავლის აღების მიმდინარეობაზე. თვითეულ ზონაზე მიმაგრებულია რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც დავალებული აქვს უზრუნველყოს მოსავლის დროული აღება და ხილის სწრაფი დამზადება. რაიკომის ბიუროს სხდომებზე რეგულარულად გისმენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. ვაჯამებთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

თითოეულ საბჭოთა მეურნეობაში დაწესებულია საკონტროლო საგუშაგოები, რომლებსაც სათავეში უდგანან კომუნისტები. ისინი ყოველდღიურად ამოწმებენ მეჯიბრების მიმდინარეობას, უზრუნველყოფენ, რომ თითოეულმა მებოსტნემ და მებაღემ იცოდეს, თუ როგორ მუშაობს მისი ამხანაგი. საკონტროლო საგუშაგოები უშვებენ საველე ფურცლებს, რომლებიც მოგვითხრობენ სოფლის მეურნეობის დამკვრელებზე. ასეთი საგუშაგოები ქმედით დახმარებას უწევენ გარდაბნის მეხილეობა - მებოსტნეობისა და რუსბოლოს მებოსტნეობა-მერძეოეობის საბჭოთა მეურნეობებს, დიდმის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობას და სხვ.

პარტიის რაიკომმა მოაწყო მებოსტნეთა სპეციალური სკოლები. საბჭოთა მეურნეობების მთავარი აგრონომები, საუკეთესო მებოსტნეები ამ სკოლების მსმენელთ აცნობენ თავიანთი მუშაობის მეთოდებს, უხვი მოსავლის მოწევის ხერხებს. ამ სკოლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 300-ზე მეტმა მებოსტნემ.

რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება საბჭოთა მეურნეობების აგიტატორებთან, პროპაგანდისტებთან ერთად რეგულარულად უშვებს სპეციალურ პატაკებს, რომლებიც მოგვითხრობენ სოფლის საუკეთესო ადამიანების შრომითს

ᲛᲔᲢᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მესამე ხუთდღიურის ცნობების მიხედვით რესპუბლიკაში შეტეხილია 133.122 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც წლიური გეგმის 74,2 პროცენტს შეადგენს. შარშან ამ დროისათვის გეგმა შესრულებული იყო 42,9 პროცენტით.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელეს ბოლნისის რაიონის მეთამბაქეოებმა. თამბაქოს ფოთლის შეტეხის სეზონის დაწყების წინ მათ იკისრეს 20 სექტემბრისათვის შეეტეხათ 5.100 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. პლანტაციების კარგი მოვლის შედეგად ბოლნისელებმა ეს დავალება 119 პროცენტით გაანაღდეს. შეტეხილია 6.071 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

წლიური გეგმის შესრულებას მიუახლოვდნენ აჰპრის ასს რესპუბლიკის მშრომელები. აქ თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა შესრულებულია 88,7 პროცენტით, მარნეულის რაიონში — 78,6 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონში — 76,6 პროცენტით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 65,1 პროცენტით.

ჩვენი რესპუბლიკის თამბაქოს პლანტაციებში გრძელდება უკანასკნელი შეტეხით ფოთლის აღება, ანმესება და შრობა. ამასთან იწყება თამბაქოს მოსავლის შემდგომი დამუშავება, დახარისხება, ცალკად ამოღება, პირველი და მეორე შეტეხით მიღებული თამბაქოს ნედლეულის დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარება. ყველა ეს სამუშაო მაღალხარისხოვნად და აგროვადებში უნდა შესრულდეს.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელად ამინდი ჭირვეულობს. დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები. არ დაკარგოთ არც ერთი ფოთოლი თამბაქო, — ასეთია მეთამბაქეოა ამოცანა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐ-ᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1967 Წ.

ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ

• მანქანა და ადამიანი •

**ᲜᲐᲢᲐ

უნგრელი მეგობრები სტუმრად ქუთაისში

ქუთაისი, 19 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). საქართველოში უნგრეთის კულტურის დეკადის მონაწილეებს, რომლებიც აქარდან ქუთაისში გაემგზავრნენ, მოელ ტრასაზე მეგობრულად და გულითადად ხვდებოდნენ.

ქუთაისის მშრომელები ქალაქის შესასვლელთან შეეგებნენ ძვირფას სტუმრებს. ნორჩი პიონერები პიონერული მიესალმნენ უნგრელ სტუმრებს. „ტეშეკ პორანჩოლნი!“ — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, ერთხმად გაიძახოდნენ ბავშვები უნგრულ, ქართულ და რუსულ ენებზე.

პარტიის ქუთაისის ქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. კოპაძემ პარტიის ქალაქო კომიტეტში დარბაზობა გაუმართა უნგრეთის დელეგაციას. დარბაზობაზე მან ხტუმრებს გააცნო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ისტორიული წარსული, უამბო რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის ახალ ცხოვრებაზე, სადაც ორმოცი წლის წინათ არ ყოფილა არც ერთი სამრეწველო საწარმო. დღეს, თქვა მან, ეს ავტომშენებელთა, ქიმიკოსთა, ფეიქრების, მეცნიერ მუშაკთა ქალაქია.

დარბაზობაზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ხტუმრებს ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე.

სადამოს ამხანაგები შ. ხაპაში, ლ. კიში, ლ. ბარდი, ი. ელბერტი, შ. ტომაში, ი. ხორვატნი, ჩ. დეეე და უნგრეთის დელეგაციის სხვა წევრები ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში შეხვდნენ ქუთაისის საზოგადოებრიობას.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო გახსნა შ. კოპაძემ, რომელმაც თქვა, რომ უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ მოაწერეს ხელი ბუდაპეშტში, საუკეთესოდ ასურათებს ის ძმური და გულწრფელი სიხარული, რომლითაც უნგრეთის კულტურის დეკადის დღეებში ერთმანეთს ხვდებიან ჩვენი ხალხების წარმომადგენლები.

მოხსენება უნგრელი და ქართველი ხალხების მეგობრობის დიდ ტრადიციებზე გააკეთა ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა კ. მეძველიამ.



ქალაქის მშრომელებისა და საზოგადოებრიობის სახელით უნგრელ მეგობრებს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე. პოეტმა ბ. სამხარაძემ წაიკითხა მ. ზიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხაკუთარი ლექსი.

უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, უნგრეთის სოციალისტური მუშაოა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფ. ხაპაშმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, მხურვალე მადლობა გადაუხადა ქუთაისელებს გულითადი შეხვედრისათვის და მიესალმა უნგრელი ხალხის სახელით.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრელი მსახიობები.

ᲛᲐᲥᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ

უნგრული ფილმები თბილისის ეკრანზე

უნგრული კინო! — არსებობს კი იგი? — ვიკითხავდით ამ ათი-დან ერთ წინათ, თუმცა მსოფლიოს კინემატოგრაფიული საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილი იყო უნგრელი რეჟისორების ჯარაშის, კერტიცის, ილეშის, განსაკუთრებით ალექსანდრე კორდას სახელები. ახლა ასეთი კითხვის დასმაც კი მკრეხელობა იქნებოდა, რადგან სოციალისტური კინოხელოვნების მდინარეებში საკუთარი ხმით შემოდის უნგრული კინოც — თვითმყოფი, მაძიებელი, თავისებური. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ ხანს იგი სულ უფრო ხშირად ეკვეცვა საერთაშორისო კინოფესტივალების ყურადღების ცენტრში.

ახლაც — თბილისში უნგრული ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით — ჩვენს ეკრანებზე გამოჩნდა ს

თბილისის პეიზაჟები

თბილისი. სანაპიროს და ვახტანგ გორგასალის ქუჩის ხედი.

ფოტო ილ. ბაევისა.

ფრე კუიბიშევში

გუშინ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში კუიბიშევში ერომანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვიხა“ და თბილისის „დინამოს “გუნდები.

შეხვედრის პირველი ნახევარი დინამოელებმა და მათმა მასპინძლებმა საკმაოდ სწრაფად, მაღალტექნიკურად დაიწყეს. როგორც ერთი გუნდის, ასევე მეორის კართანაც რამდენჯერმე შეიქმნა საგოლო მომენტები, მაგრამ ამ თავდასხმებს შედეგი არ მოჰყოლია.

თამაშის მეორე ნახევარში პირველი წარმატება მასპინძლებს ხვდათ. შეხვედრის 51-ე წუთზე თბილისელმა მცველმა არცოტა ზუსტად ბურთი მეკარეს მიაწოდა. ამ დაუდევრობას კი ის შეკეკლეს მოჰყვა, რომ კუიბიშეველმა თავდამსმელმა ბურთი თბილისის „დინამოს“ კარში მოათავსა — 1:0. წონასწორობა მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ აღდგა. დათუნაშვილმა, რომელიც ამ შეხვედრაში გამოირჩეოდა, შესანიშნავად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და ძლიერი დარტყმით ბურთი მეტოქის კარის ბადეში მოათავსა.

ამის შემდეგ თამაში გარდამავალი ხასიათი მიიღო. ბურთი ერთიმეორეს ხასიათდებოდა. [illegible] ბურთი [illegible] ხასიათდებოდა. [illegible] ბურთი [illegible] ხასიათდებოდა. [illegible] ბურთი [illegible]